

# საქსენი

# 24

www.24news.ge

ფასი 1 ლარი

შაბათი 13 - 20 ივნისი, 2009 წელი, № 21 (117)

შაბათი 24 საათი

სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ 20 სამხედრო დასახლება აშენდება. რაც შეეხება ქალაქ ცხინვალს, იქაც დაიწყება რუსი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ზოგიერთი ობიექტი უკვე მომავალ წელსვე იქნება მზად", - აცხადებს მურზინი. მისივე თქმით, ამჟამად "საქართველოსამხრეთ ოსეთის საზღვარზე შედარებით სიმშვიდეა. ჯერჯერობით ინციდენტები არ არის და, იმედია, არც იქნება".

ჯე-ეიჩ-ენი

## განვითარება სამხრეთ კავკასიაში

დახელოვნებისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია INWENT-ი ახორციელებს დისტანციური სწავლებისა და მართვის განვითარების პროექტს საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. პროექტი ფინანსდება გერმანიის მთავრობის, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

8 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით თბილისში, ბაქოსა და ერევანში ტარდება სემინარების პირველი ეტაპი, მონაწილეთა დახელოვნებას ახორციელებს INWENT-ის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული ავსტრიაში, ქ. ვენაში მოქმედი ორგანიზაცია "Common Sense". საბაზისო ცოდნის მიღების შემდეგ ლიდერები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაივლიან შესაბამის კურსებს.

როგორც ამ ორგანიზაციის ადგილობრივმა კოორდინატორმა ირაკლი შურულაიაშვილმა განაცხადა, საქართველოში INWENT-ის პარტნიორი ორგანიზაცია არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი სხვა სასწავლო დაწესებულებებთან ერთად. მანვე აღნიშნა, რომ ორგანიზაცია INWENT-ი 2009 წელსვე განახორციელებს პროექტს: "პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში".



სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მსურს თითქმის ყველა ნამყვანი უნივერსიტეტის წარმომადგენელი. მათთვის დისტანციური სწავლების დანერგვის აუცილებლობა აქტუალურია. პროექტი დასრულდება 2010 წლის გაზაფხულზე და ამ დროისთვის ყველა მონაწილე ორგანიზაციას უკვე შექმნილი ექნება შესაბამისი კურსი.

### ირანის არაქვეაზი - უკრაცხადანთოდ მადალი აქტივობა

ირანში რიგით მეთათე საპრეზიდენტო არჩევნებმა აიღო სტარტი. საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით დილის 08:00 საათზე გაიხსნა